USAID & ICDC სტაჟირება აწსუ-ს კურსდამთავრებულებისათვის და სტუდენტებისათვის

სტუდენტთა მხარდაჭერისა და განვიტრების სამსახურის მხარაჭერით აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში ხორციელდება USAID Economic Security Program (DAI) და „ინსტიტუციური და შესაძლებლობების განვითარების ცენტრის“ – ICDC პროექტი**„სტაჟირების და სამუშაო ადგილზე სწავლის შესაძლებლობის ხელშემწყობა სტუდენტებისთვის“**.

პროექტის მიზანს წარმოადგენს ბიზნეს კომპანიების კვალიფიციური ადამიანური რესურსით უზრუნველყოფა, ახალგაზრდების პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარება და დამსაქმებლებს შორის საქმიანი ურთიერთობების (ქსელის) ჩამოყალიბება
პროექტი მოიცავს ბიზნეს კომპანიებისთვის სტაჟიორების შერჩევას შემდეგი მიმართულებებით:

- **ტურიზმის სექტორი:** (სათავგადასავლო / მთის, კულტურული, გასტრონომიული - ღვინო და კულინარია, განთავსება);
- **კრეატიული ინდუსტრიის სექტორი:** (ნებისმიერი სახის მედია შინაარსის - მათ შორის სოციალური ქსელების მართვა);
- **მსუბუქი მრეწველობის სექტორი:** (ავეჯის წარმოება, შეფუთვის სამუშაოები);
- **ინტელექტუალური მომსახურების სექტორი:** (ბიზნეს პროცესების აუთსორსინგი (BPO): ინფორმაციული ტექნოლოგიები, მომხმარებელთა ურთიერთობების მენეჯმენტი, არქიტექტურა, დიზაინი და ინჟინერია, ფინანსები და ბუღალტრული აღრიცხვა. ადამიანური რესურსები);
- **სექტორები, რომლებიც მნიშვნელოვანია ყველა ინდუსტრიის განვითარებისთვის:** (საინფორმაციო და კომუნიკაციის ტექნოლოგია, ელექტრონული კომერცია- online გაყიდვები და სხვა, ასევე ტრანსპორტი და ლოჯისტიკა).

პროექტი განხორციელდება საქართველოს 5 რეგიონში:

- თბილისი;
- იმერეთი;
- აჭარა;
- სამეგრელო;
- შიდა ქართლი.

პროექტის ფარგლებში შეირჩევა **100 სტუდენტი,** რომელიც სტაჟირებას გაივლის 3 თვის განმავლობაში, სტაჟირების ანაზღაურება მოიცავს **430 ლარს თვეში (საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ყველანაირი გადასახადის/მოსაკრებლის/შენატანის ჩათვლით).**

სტაჟიორების ანაზღაურების თანადაფინანსება:

- 300 ლარი თვეში (საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ყველანაირი გადასახადის/მოსაკრებლის/შენატანის ჩათვლით) **გამოიყოფა ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ეკონომიკური უსაფრთხოების პროგრამის USAID Economic Security Program(DAI) ფინანსური მხარდაჭერით თითოეული სტაჟიორისთვის, რაც ნიშნავს 1 სტაჟიორის 3 თვიანი სტაჟირების პერიოდის გავლის განმავლობაში 900 ლარით დაფინანსებას. აღნიშნული თანხის ანაზღაურებას სტაჟიორისთვის უზრუნველყოფს „ინსტიტუციური და შესაძლებლობების განვითარების ცენტრი“ - ICDC**
- 130 ლარი თვეში (საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ყველანაირი გადასახადის/მოსაკრებლის/შენატანის ჩათვლით), რომლიც **დაფინანსდება სტაჟიორების მიმღები კომპანიებისგან, რაც ნიშნავს 1 სტაჟიორის - 3 თვიანი სტაჟირების პერიოდის გავლის განმავლობაში 390 ლარით თანადაფინანსებას.**

„სტაჟირების და სამუშაო ადგილზე სწავლის შესაძლებლობის ხელშემწყობა სტუდენტებისთვის“ პროექტში მონაწილეობის მისაღებად მსურველმა უნდა გაიროს რეგისტრაცია შემდეგი ბმულის საშუალებით:

სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების სარეგისტრაციო ფორმა

https://docs.google.com/forms/d/1cNyCaLfyjZX7sUO64RmdH4r7KAqHBXmYtKG17ofXx0I/viewform?edit_requested=true

რეგისტრაციის ვადები:

რეგისტრაცია სტუდენტებისა და კურსდამთავრებულთათვის მიმდინარეობს მხოლოდ 20 ოქტომბრამდე

- **შერჩევის პირველი ეტაპი (განაცხადების შესაბამისობის დადგენა კომპანიების მოთხოვნებთან) განხორციელდება: 25 ოქტომბრიდან 15 ნოემბრამდე**

- **შერჩევის მეორე ეტაპი (გასაუბრება პროექტის წარმომადგენლებთან და კომპანიებთან) განხორციელდება: 30 ოქტომბრიდან 20 ნოემბრამდე**

პროექტის შესახებ ინფორმაცია და სიახლეები განთავსდება „ინსტიტუციური და შესაძლებლობების განვითარების ცენტრის“ – ICDC ვებ გვერდზე: https://icdc.ge/
ასევე ორგანიზაციის სოციალურ ქსელებში:
https://www.facebook.com/thehome87
https://www.facebook.com/ICDC.ge